



სამშუკლო

ფასი: წლიურად 8 მ., ნახევარი წლით 4 მ., კვარტალურად 2 მ., 4 აბ. ცალკე უმცირესი შაურა. **დამატებით 7 მ.** წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილწილად გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს მ., და ნაჩენი კიდევ ნაწილწილად. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტრიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტრიტ ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევს 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

ყოველდღიური საკომუნიკაციო და სალიტერატურო გაზეთი

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლებს სხვაზედა, ორივე ტკბილია ძმობილა, მირჩენის ორსავე თვალზედა, როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“

ტელეფონი № 76.

ღრმად დამწუხრებული ქირისუფლები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 1 აგვისტოს, დილის 9 საათზე, ქუთაისის ქართველ კათოლიკთა ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი

პავლე სტეფანეს ძის მეფისაშვილის
სულის მოსახსენებლათ. 2-2-757.

25 ივლისს უდროოდ გარდაიცვალა

აწ. ვალიკო (იგივე ივანე) მრავალის ძე

მამაკარნიანი.

გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება შაბათს, პირველ აგვისტოს, სოფელ კორეილაში, საჩხერის საბოქაულოში. 1-1-546.

დედა ირინე; მეუღლე ელისაბედი; შვილები: გრიშა, ნინუცა და ანეტა; ძმები: ერმილე, ილარიონი, პორფირე, თეოდე და მიხაკო; ძმობი: მაკრინე, მანია, ოლია და მარიამი; ძმის-შვილები: მაშო, ცაბურა, ნინო, ქეთო, თამარა და დათიკო უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობთ, რომ 28 ივლისს, საღამოს ხუთ საათზე, ხან მოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სოფ. დიშში, ძვარფასი და დაუვიწყარი

სილიგისბრო მარაგის ძე მალაქალიძე.

პანაშვილები ყოველდღე დილის 11 საათსა და საღამოს 5 საათზე. გამოსვენება მოხდება კვირას, 2 მარტობისთვის, საკუთარი სახლიდან, სოფ. დიშის მთავარანგელოზის ეკლესიის სასაფლაოზე დასაკრძალავად. 3-1-547

სამგლოვიარო დავა-შეხვედრები და წერილები.

მოგვიხატა მთის არწივი!

მოულოდნელმა ამბავმა მეხი და-მარტყა!... განუთებმა მაცნობეს ჩვენი სამაყო „მთის არწივი“—ვაქვს სიკვდილი... გული დამისერა მისმა უდროოდ დაკარგვამ.. განა ამას ვიფიქრებდი, რომ შეუბრალებელი სიკვდილი, რომელიც შემოგვიჩნდა ამ უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში, აღარ გვაკარებდა ამდენ გლოვა-ტირილს და დაჩენილს ჩვენს ერთადერთ ბრძენსა და უფროსს მგოსანს

კიდევ მოგვტაცებდა ასე ჩემად ხელიდან?!

ჯერ ბედკრულ საქართველოსა და ქართველ ერს აკაცისა და არ. ჯორჯაძის დაკარგვისა გამო შავი ძაბა არ გაუხდია და ამა კიდევ ახალი უბედურება, ახალი მწუხარება!.. მწარედ დავსტირი მთელს ქართველ ერთან საყვარელი მგოსნის ვაჟს ვაცებულ ცხედარს!.. მშვიდობით, მუდამ ფიხი-ხელო, მთის არწივი! ამ ერთი თვის წინად ჩემს სალამზე პასუხად შენი მოძღვნილი ლექსი და გამამხნეველი სიტყვები დაწერილი იქნება ჩემს გულის ფიქარზე შენდა სახაოვრად..

ლადა ბზვანელია.

ელექტრო „რადიოში“ თეატრი

საზაფხულო ზანოზაში.
ხუთშაბათიდან, 30 ივლისიდან, ნაჩვენები იქნება სურათი:
I. **რუსეთის საზღვარო ქრონიკა.** სკობელევის კომიტეტისა მე-18 სერია.
II. **მონაბ. „რადიუმისა“—სენსაცია აჩრდილი**
კატარკლისა. მხატვრული დრამა სამ. ნაწილათ. ფრანგ მსახ. ქალის ნაპერკვავისა მონაწ. III. **ჩაუხილი არაქოზა** ძლიერ კომიკური სურათი.

მთის არწივი — ვაჟა ფაშაველა აღარ ვაპასუხებს საქართველოს.

დიდი ხანია, ერთს საუკუნეზე მეტია, რაც რომ ჩვენი ტურფა და ლამაზი ქვეყანა, შინაურ მწუხარებასთან ტანჯვა-კოდებას განიცდის, მაგრამ, ამ უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში, ჩვენს ქვეყანას პირდაპირ მართლის იობისებური მწუხარება და გოდება დაატყდა თავს.

როგორც იობს გაუწყდა თავის საუკეთესო შვილები და გაუხადგურდა საცხოვრებელი, სწორედ ისე მოგვდის ჩვენცა. ამ წელიწადში საქართველოს გამირებთან, რომლებმაც ბრძოლის ველზე დალიეს სული, წარიტაცა ჩვენი უგვირგვინო მეფე — დიდი აკაკი, ამავე წელმა მოსპო ნიკო ლომაური და ახლა, დახედეთ ბუნების გაუმძღვრობასა, მან უკანასკნელი იმედიც კი აღარ შეგვარჩინა და ხელოდან გამოგვტაცა უდიდებულესი ქართველი ჩვენი ეროვნების სიამაყე — ვაჟა-ფშაველა.

განგება, მსგავსად მართლის იობისა, ქართველებმა, ჩვენა გვცდის, მას უნდა დარწმუნდეს ჩვენს ნამდვილ ქართველობაში დე! შეგვერთდეთ ყველანი და ყველას დაუმტკიცოთ, რომ ჩვენში იმ ქართველების სისხლი დუღს, რომლებმაც მიწას მიბარეს, თამარ ბრწყინვალე შოთა დიდი და ნინო ტკბილი, და ეს დიდი უბედურება შეგვიმსუბუქეთ იმ რწმენით, რომ ჩვენი მთის არწივი არ მომკვდარა და მანამდის იქნება ჩვენთან, ვიდრე ჩვენ ქართველები ვიქნებით!

მ. ფარცხნაველი

ანონსი: ორშაბათიდან, 3 აგვისტოდან ნაჩვენები იქნება სურათი: **წყველისაგან ბათავისუფლებული.**

დრამა 3 ნაწილათ „ნორდისკისა“ ნათამაშევი ბ. გარისონისა, ელზის, ფრეილინისა და ალმი ხინდინგის მონაწილეობით **სამი მთხილი მთი ლაქაზი.** ორიგინალური კომედია „ნორდისკისა“. ნათამაშევი კოროტიშკინისა და ტრიბოლტის მიერ.

თუშ-ფშავ-ხმესურება.

(მომე სვანთაგან)
ვიგლოვოთ ძმებო!.. შეგვძახით დღეს ჩვენ ერთ-ერთს, ვიგლოვოთ რადკან დაგვიდგა ჟამი კვლავ გლოვისა.

რამოდენიმე თვეა მას აქით, რაც ჩაესვენა ერთი ბუმბერაზი მნათობი ქართველი, სევდიო მოცულ გულისა, ჩაესვენა დიდება და სიამაყე სისხლით მორწყულ ჩვენ ისტორიისა...

დიად, ჩაესვენა და ჯერ ერთზე ცრემლ—შეუშრობი ქართველის დედა მეორეზე აქვითინდა. კვლავ ატირდა საქართველოს ტურფა მთა-ბარი, კვლავ საშინელის ზუზუნით ახმაურდა ჩვენს გარშემო ატმოსფერო. თვით უხეშ სტიქიონთა ძალებსაც გული მოუღებდა და თავის გულის წყრომას უნდა სიკვდილისადმი საშინელ ქარიშხლის ქექა-ქუხილის ხმით გამოსთქვამენ...

„ვიგლოვოთ, ძმებო!“ გაიძახის დღეს მთელი საქართველო; „ვიგლოვოთ!“ გაიძახის კვლავ სისხლით მორწყული ისტორია...

„იკლოვე, ხელოვნება“, გრგვინვით იძახის ხელოვნების! ღმერთი, ხელოვნების ტაძარს მოაკლდა უდიდესი ქურუმი“...

ვიგლოვოთ მთებო! თქვენ მწერვალთ სამუდამოთ მოსცილდა თქვენ კალთებზე აღზდილი არწივი... დიად, იგლოვოთ, იგლოვოთ, იგლოვოთ... მთა ბარს შეტირის, ბარი—მთას, ზღვა—ხმელეთს და ქვეყანა—ცას. ირგვლივ გაისმის კვნესა-ტირილი, ამ-

ქუხრებულან ძალნი ცისანი და გლოვის ზარს რეკენ...
ოპ, ვით გაუძლოს გულმან ამ ტანჯვას, საშინელებას?...
ვხედავთ როგორ მწუხარეთ სდგას მყინვარი-დედა ვაჟისა და როგორის თანაგრძნობით შეტკეპთინებს მას იალბუზი, ვხედავ როგორ მიჰქრის დასავლეთიდან ქარიშხალი აღმოსავლისკენ, რათა მიუსამძიმროს გლოვის ხმით ივერიის მთა-ბარს დაკარგვადილი ვაჟისა...
ო, ვხედავთ, ვხედავთ ამას ყოველივეს, ვხედავთ ჩვენს მოძმე მთიელებს დობლბულოთ, აღარა ჰყავთ მათ თავიანთი არწივი, აღარა ჰყავთ მათ გულის შეგების მიმცემი, უღლობელმა სიკვდილმა მოჰკლიჯა იგი მშობელ მხარეს.
ხედვენ ამას თვით ჩვენი მაღალი სვანეთის მთებიც და გლოვის ნიშნათ საშინლათ მობურულან. მათ ესმისთ, თუ ვინ მოკვდა, მათ ესმისთ, თუ ვინ იყო ვაჟა. ვაჟაში იგი ბედვდა, როგორც სხვა მთიულები, თავის თავს... და დღეს თავის მოძმეებთან შეერთებული ჰკლოვს თავის სასიქადულო ვაჟას...
და თქვენც მთიელნო, თუშ-ფშავ-ხევესურნო, ნუ შეგაკრთობთ ეგ უბედურება. საქართველოს ბევრი შავი დღე განუცდია, მაგრამ კვლავ სკოცლობს იგი, იგი კვლავ წარმოშობს სახელოვან შვილებს, რომლებიც თავის ჩაგრულ ერს საქმაოთ მოსწმენდენ თვალზე ცრემლს.
მადლიერის სამშობლოს შავი მიწა სიყვარულით ჩაიკრავს გულში თავის სასიქადულო შვილს და შეინახავს მის სახელს მინამ, სანამ თვით იარსებებს. მაშ, გამხნეველი ძმებო, ნუ შეგაკრთობთ უბედურება, თქვენგანვე თქმულა:
„ვისაც მოუკლავს ის მოკლავს ნადირსა შავი ტყისასა, ვინც დახვდა იგივ დახვდება გულადად რაზმსა მტრისასა“.
ამბროსი მუშვიანი—სვანი.
კვლავ სიკვდილი. ქართველი ხალხის ცხოვრების კაბადონზე კვლავ თავისუფლად ფარფაშობს სიკვდილი თავისი საზარელი სახით. ჩვენი ერის ცხოვრების ჰორიზონტზე კიდევ თავისუფლად ნავარდობს შავი



(პეტ. დვ. სააგენტოსაგან)

სოფია. 28 ივლ. კონსტანტინოპოლში გამოქვეყნებული ოფიციალური ცნობა ადასტურებს, რომ ჯავნოსანი „ხარტინბარბაროსა“ დარღვევებში ინგლისის წყაღვემა ნაგმა დაღუპაო. გადაჩა ეკიპაჟის დიდი უმრავლესობა.

ლონდონი. 28 ივლ. გენერალი ფრენჩი იტყობინება, რომ გოოჟის ჩრდილო დასავლეთით, ამ სოფლის ნანგრევებს შუა, გავმაგრდით იმ ტერიტორიაზე, რომელიც ჩვენ გუშინ წავართვიტ მტერს.

ლამით მოვიგერეთ ქვეითა ჯარის სუსტი იერიში. დღით განახლდა საარტილერიო ბრძოლა, რომელსაც შედეგათ მოყვა ორივე მხარის უკან დახვევა. გოოჟიდან ჩვენ ცოტათი დავსწიეთ უკან ჩვენი ბრძოლის ხაზი, რასაც არსებითად საერთო მდგომარეობა არ შეუცვლია.

ბექდვითი ბიურომ გამოაქვეყნა გენერალ გალმითონის მოხსენება სადაც ნათქვამია, რომ ამ უკანასკნელ დღეებში ჩვენ შესაძინვეთ წავიწიეთ წინ. სურტკორთან ბრძოლის წრე 200 იარდის სიგრძეზე გავფართოეთ. კატაოსკენ მიმართული გზის აღმოსავლეთით 200 იარდის სიგრძე ფრონტზე მტერი შევაჩერეთ, მიუხედავად მათი თავგანწირული კონტრიერიშებისა. ბრძოლის წრის სხვა ადგილებში განეორებითი იერიშები ოსმალებისა მოგერებულ იქნა. ფრანგების დახმარებით რამდენიმე იერიში მივრტანეთ მტერზე; ფრანგების დახმარებაში დიდი სარგებლობა მოგვიტანა.

ანჰაკის რაიონში ჩვენ გავმაგრდით, ჩუნუბაირსა და სარბაირის ნაწილზე. კრიაჟის ქიმებიც ჩვენ დავიჭირეთ, თავიწირული ბრძოლისა და წარ-

მოზიბლავია ვეჟს შთამგონებელი მუხა... იგი მითიურ წარმოდგენით შემოსილი ქალია, რომელსაც ესპის ყაველი ახის ენა და გრძობს ყველას სულის საიდუმლოებას... ვეჟას მუხას, „ემის ...ყოველი რასაც ფრინველი გალობენ, ან მკენარენი, ცხოველნი, როდის ილხენენ—წვალობენ“... („გველის მკამელი“).

საქართველოს ისტორიულმა ჩარხის ტრიალმა რადაც რაინდული, მარად მომქედი და მარად მჩქეფარე სული და მიღრეკილება გაჰმოკვეთ ქართველი კაცის ფსიხიკაში... ეს დაუცხრომელი აქტივობა ქართ. კაცის სულიერ ცხოვრების ერთ უშვენეირეს თვისებას შეადგენს, რომელსაც თითქმის ყველა ჩვენი მგონები ფხიშელ პლასტიკურ ფორმებში გვიშლიან და გვისურათებენ... ქართველი ერის ამ მშვენიერ და მომხიბლავ სულიერ თვისების ერთი უშვენეირესი მაჩარებელია ვეჟა... მისი მგონური ბუნება ლაღი და მჩქეფარეა, მარად მოძრავი, მარად ბრძოლის წყურვილით გარემოცულია...

მშობლები სთხოვენ იმ პი-ტონც იცის რამე ამ ჯარისკაცის შესახებ შეატყობინონ შემდეგი მისამართით.

ქლაქის თეატრი ანდრო მურუსიძეს.

5 აგვისტოს, სოფ. ჭოგონში (ქუთ. მაზრა) მახლობი ანდრო მურუსიძის მეთაურობით გაიმართება წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნება გ. ერისთვის კომედია „ძენწი“.

ამ დღეებში სოფ. ბაღდაში (სენაკის მაზრა) მოვაქრე მიხეილ შავდიას ვილაც ქურდებმა ლამით ფართოეულობისა და საბავალენო საეკტოდან მოპარეს 1,500 მანეთად ღირებული საქონელი. ქურდები პოლიციამ შეიპყრო და პასუხის გებაში მისცვა.

როგორც სოფ. ხრესილიდან გვწერენ კვირას იქ გაიმართა აღგილობრივი სამკითხველოს სასარგებლოთ წარმოდგენა. ამ წარმოდგენაში ქუთაისიდან მონაწილეობა მიიღო მსახიობებმა: ა. მურუსიძემ, ნემომ, დ. ჩარკვიანმა, სარელმა, ნ. ჩხაკვაძემ და სხვამ. სალიტერატურო განყოფილებაში მიიღო მონაწილეობა ა. ეკალაძემ. ხალხი წარმოდგენას ბლომათ დავსწრო.

სამშაბათს, 28 ივლისს, ქუთაისის საოლქო სასამართლომ გაათავისუფლა დავით ლულაძე, რომელსაც ბრალს სდებდენ ჯანელიძის ბავშვის გატაცებაში. ამავე დღეს სასამართლომ ამავე საქმისთვის 4 წლის კატორღა მიუსაჯა მუჟანაძეს.

გუშინ, 30 ივლისს, დიდი მთავრის, ტახტის მემკვიდრის ალექსი ნიკოლოზის ძის დაბადების დღეს საკათედრო ტაძარში მწირველათ იყო ეპისკოპოსი გიორგი.

28 ივლისს, ქათურის შავიქვის სამრეწველო საბჭომ ჯარში ბავშვულთა დახმარე ქლაქის კომიტეტს გავსახანა 196 მანეთი და 60 კაპეგა. რომელიც შეუკრებათ სსხეულები დაწესებულების მოსამსხურეთა შორის.

1 აგვისტოდან საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილება თავის სხლომებს განახლებებს.

შვილთა, —სანდრო ყაზბეგისა და ვეჟა-ფშაველას, ბრძოლის წყურვილით გარემოცულ ფანდურის გამოძახილი; სხეებზე არა ნაკლებ შეესტრფით ჩვენ სანდროსა და ვეჟას...

მრავალი ჩვენი მგონანი კვებავდა თავის ფანტაზიას ხალხური ზღაპრებით, თვისებებითა და წარმოდგენებით; მაგრამ ყველაზე უფრო —მათ შორის ვეჟა-ფშაველა სწავდა ხალხის „კოლექტიურ სულს“, მან ყველაზე უფრო კარგათ გამოკვება და ასაზრდოვა ჩვენს ლიტერატურაში თავისი მგონური ფანტაზია ხალხის მესხერებაში შენახულ მითებითა და ლეგენდებით... ეს გასაკვირიც არ არის: ვეჟა იმ მიუვალ მთებზე ხალხში აღიზარდა და თითქმის მთელი თავისი ცხოვრება იქ გაატარა, სადაც ხალხი ჯერ კიდევ ცხოვრობს ძველი ტრადიციის საზღვრებში და სადაც ჯერ კიდევ ვერ მიატანა „განახლებულ ცხოვრების გრეგალის ქოლგამ“. ამიტომაც ვეჟას მგონური სული ყველაზე უფრო მიუახლოვდა ხალხის კოლექტიურ სულს, ჯერ კიდევ მთლიანსა და ერთ სახიანს...

ქუთაისის კულტურული დაწესებულებების წარმომადგენელთა კრების არჩეული ვეჟას გადაცვალების კომიტეტი სთხოვს თბილისის კომიტეტს კვირისათვის გამოავიგზავნოთ 5,000 ვალი წიგნაკი და სურათი გადაცვალეულისა ხალხში უფასოთ დასარიგებლათ.

დაკრძალვის დღეს გაემგზავრება დეპუტაცია. საზოგადო პანაშვიდი გადახდილ იქნება კვირას.

დღეს, 31 ივლისს, ქუთაისში მყოფ თფილისის სასულიერო სემინარიის მოწაფეთა მეთაურობით მთავარ ანგელოზის ეკლესიაში დღეს 12 საათზე გადახდილი იქნება პანაშვიდი ვეჟას სულის მოსახსენებლათ. პანაშვიდის დროს იკალომებს ამავე მოწაფეების გუნდა.

ქუთაისის ნოქართა ერთი ჯგუფის სახელით ვეჟას გარდაცვლების გამო თფილისში შემდეგი დღეებში გაიგზავნა: „მწარე ცრემლებს ვაფრქვევთ სამშობლო მთების მომღერალის ვეჟას დაკარგვის გამო. მთელ საქართველოსთან ერთად მუხს ვიყრით ჩაგრული სამშობლოს მეღვარი დამცველის ძვირფასი ცხედრის წინაშე“.

დღეს 31 ივლისს, საღამოს 5 საათზე შავი ქვის საბჭოს დარბაზში ქუთაისის პოლიციეისტრის ნებართვით მოხდება ქუთაისში მყოფ სრუდენტებისა და უმაღლეს კურსებზე მსმენელი ქალების კრება. კრებას მსჯელობა ექნება ვეჟას შესახებ.

კვირას, 2 აგვისტოს, ვეჟას დაკრძალვის დღეს, საკათედრო ტაძარში ვეჟას სულის მოსახსენებლათ მწრველი იქნება ეფისკოპოსი გიორგი, წირვის შუქდევ გადახდილი იქნება პანაშვიდი.

ეს ერთი ხანია ჯარის კაცის კონსტანტინე სიმონისძე წყვლაძისაგან, რომელიც მსახურობდა 135 სათადარიგო ბატალიონის 1 როტაში, მშობლებს არავითარი ცნობები აღარ მიუღიათ.

პირები: ივ ის. პურადაშვილი, იაკ. ცინცაძე, პეტ. ყიფიანი, გრ. ლალაძე, რაჟ. კანდელაკი და ბ. ტუსკია. მუშებიდან: ი. ქელბაქიანი და ილ. ჩავეტაძე, კომისიაში აგრეთვე მონაწილეობას მიიღებს ორი წარმომადგენელი ნოქრებისა. კომისიის კრება დანიშნული იყო გუშინ, 30 ივლისს 12 საათზე.

გუშინ, ვეჟას ხსოვნის პატივსაცემლად არჩეულმა კომიტეტმა დაადგინა: —1) გამოცხადდეს პანაშვიდი ყველა კულტურულ დაწესებულებაში ვეჟას, კვირას, 2 აგვისტოს, დღის 12 საათზე საკათედრო ტაძარში. 2) სთხოვოს ეპისკოპოსს გადახადოს პანაშვიდი; 3) ტაძრის გაღივანში ითქვას სულ ცოტა სამი სიტყვა მინც: ერთი დაწესებულებების წარმომადგენელისაგან და ორი მშრომელი ხალხისაგან. 4) სიტყვის თქმის მსურველთ უნდა მიმართონ შაბათს საღამომდე ივ. პურადაშვილს; 5) დეპუტით სთხოვოს თბილისის კომიტეტს გამოგზავნოს წიგნაკები ვეჟას შესახებ ხალხში უფასოთ დასარიგებლათ; 6) მიეწეროს ყველა კულტურულ დაწესებულებებს თბილისის კომიტეტის გადაწყვეტილება და სთხოვოს შაბათს დღომდე გამოარკვიონ რაოდენობა იმ თანხისა, რომელსაც გადასდებენ ვეჟას დასაფლავების ხარჯის დასაფარავათ. ეს დაწესებულებები არიან: 1) დეპუტატთა საკრებულო 2) საადგილ-მამულო ბანკი 3) ქუთ. საურთიერთო ნდობის ბანკი, 4) წ. კ. გამ. საზოგადოება, 5) სარტორიო და საეფნოგრაფო საზოგადოება 6) დრამატიული საზოგადოება 7) ქუთ. ქალთა საზოგადოება 8) „სამშობლოს“ რედაქცია 9) ქიათურის შავი ქვის საბჭო, 10) ქალაქის გამგეობა, ექიმთა საზოგადოება, ვეკილთა საზოგადოება, გაზ. „იმერეთი“, ქართული გიმნაზია მდამბო მოქალაქეთა გამგეობა და სახ. უნივერსიტეტი.

ამავე დღეს კომიტეტმა თბილისში შემდეგი დეპეში გაგზავნა:

ჩვენ გვიყვარს ნიკო ბარათაშვილის მამულიშვილურ გრძობითა და უხუნავს სიყვარულით გადავავებული შემოქმედება; მისი პოეზიის მომხიბლავი აკკორდები ხან სევდითა და სასოწარკვეთილებით, ხან იმედითა და სასოებით ქარგავს ჩვენი გულის ფიცარს... ჩვენ შეესტრფათ ნიკო ბარათაშვილის სპეტაკ სულს... ვის არ მოუხმენია მიუწვდომ მთის ფერდობიდან დაქანებულ შეუბოვარ და გიჟმაჟ თერგის ზარბანი ხუილი, გამაგებელი ბრძოლა. დრტვინვა და ვაი-ვაგლახი, ვინ არ დამტკბარა მისი ღონისა და სიცოცხლის მომცემ, თავზე ხელაღებულ მოძრაობით... ილიაც ამ შეუბოვარ და დაუმონავემელ თერგს გვაგონებს; იგი თერგით ბრძოლის წყურვილით არის გარემოცული, მასავით თვალწარმტაცი და მომხიბლავია, ხოლო იაღბუნის ცადაწვდენილ მთასავით პაღალი და სპეტაკი... ილია იძლიეთა მძღლე გოლიათია, ჩვენი წასულ საუკუნის ტრაგიკითა და სასოწარკვე-

ყორანი და სიკვდილს ჩაგვძახის. ჩვენი მწერლების კორიფეიას კიდევ გამოაღდა ერის ერთი გულშემატკივარი და სულის ჩამდგმელი ვეჟა-ფშაველა.

ვეჟა აღარა გვეყავს. ეს საზარელი სიტყვა ელვასავით მოედვა მრავალ ტანჯულ საქართველოს. მყოფი ამერეთი და იმერეთი შეინძრა და უზომო მწუხარებას განიცდის. შეიძლება, დიდებულო მგოსანო, ზენარაღაც უბედურებას უზნადებდეს შენს საყვარელ სამშობლოს და ამას არ შეესწარი!

ნება მომეცი საყვარელო მგოსანო მუხლი მოვიყარო ჩვენი კუთხის მდამბო ხალხის სახელით.

საფრჩხილის დავით კლდიაშვილის სახელობის სამკითხველოს გაგეობის თავჯდომარე

აკაკი ნაშინანიძე.

ცნობილმა პუბლიცისტმა მკველემ გაზეთ „საქართველოს“ შემდეგი შინაარსის დეპეში გაუგზავნა: „მით მეტათა ვსტირი ვეჟას გარდაცვალებას დღეს, როდესაც საქართველოს განახლებების განთიადი უკვე სდგება.“

ახალი ამბავი.

ქუთაისი.


ოთხშაბათს, 29 ივლისს, საღამოს 9 საათზე, მთის არწივის ვეჟას გარდაცვალების გამო წ. კოხვის საზოგადოების თავჯდომარის გ. ფ. ზდანიოვიჩის თავჯდომარეობით მოხდა ქუთაისის სხვადასხვა დაწესებულების წარმომადგენელთა კრება კრებამ იქონია მსჯელობა თუ რით აღენიშნათ ვეჟას ხსოვნა. კრებამ აირჩია კომისია, რომელსაც მიენდო აღგილობრივ პანაშვიდების მოწყობა დაკრძალვის დღეს კვირას, 2 აგვისტოს, სიტყვების თქმა, და დეპუტაციის არჩევა დაკრძალვებზე დასასწრებლათ. კომისიაში აირჩიეს შემდეგი

ვეჟა—ფშაველა.

სალიტერატურო შთამბეჭდილებანი*).

I. ჩვენ გვხიზღავს „უგზო უკვლოთ“ მკროლავ მერანზე მჯდომ ჰუბუკ ნიკო ბარათაშვილის კაეშინან ფანდურის გამოძახილი; ჩვენ გვიყვარს მისი ლტოლვის წყურვილით გარემოცულ სულის ვაშაგებული ქროლვა მარადისობისადმი, მისი უსახზღრო ბრძოლა უკუღმართ ბედისწერასთან; მისი ძიება ცხოვრების აზრისა; ჩვენ გვავადოებს ნიკო ბარათაშვილი, რომელიც ხან მობუტბუტე მტკვრის ზღვირებში ცდილობს წაიკითხოს ცხოვრების ქარიშხლიან ტრიალის საიდუმლოება, ახსნას ჩვენი ცხოვრების აზრი და შინაარსი; ხან კი შესტრფავს ბუნების მომხიბლავ ცივას, იქ ეძიებს საღვურს, ზენაარსსა მსყოფს, რომ დაშთოს აქ ამაოება“;

*) ეს შენიშვნა დაწერილია ვეჟა-ფშაველას მემორიის დროს და ვებედავთ ახლა, როცა მის გაცხევებულ გვამს დავტირით და გულმოკლულნი ვაცილებდ სამარის კარამდე.



მატებით შეტყვის შემდეგ. ამ ბრძოლის დროს მტრის ზარალი დიდია. ჩვენი შეტევა დაიწყო ღამით, რასაც ხელს უწყობდა კონტანდომოსნიდან პროექტორი. სხვა აღვიღებში ახალი დესანტი და უბრკოლებლივ გადავსხით და შესამხრევათაც წავიწვიეთ წინ. აქ ხელში ჩავიგდეთ 630 ტყვე, ერთი ზარბაზანი, 2 მარტირი, 9 ტყვიის მტყარცნელი და ბევრი სამხედრო დავლა, ყოველ მხრივ დაფანტულია მტრის თოფები, ტყვიები და ამუნიცია.

გამის დაძირვა.

ლონდონი. საადმირალო იუწყება, რომ ინგლისის კონტრანდომოსნი „ლინს“-ი ნაღმს წააწყდა და დაიძირა. გადარჩა 2 ოფიცერი და 22 მგზღავური.

დასავლეთის ასპარეზი.

პარიზი. ოფიც. ცნობა. ღამის 11 საათ. დღემ წყნარათ გაიარა. მოხსენებებიდან ჩანს, რომ ტრუჟანის რაიონში და არგონისა და აპრემონის ტყეების მიდამოებში მხოლოდ საარტილერიო ბრძოლა იყო. ოთხი ჰაერობლანი, რომელიც მონაწილეობას იღებდა ამ სროლაში ჩვენი ხაზისკენ აღარ დაბრუნებულან, გადმოგვცემენ, ვითომც ჰაერობლანები ჩამოეშვენ შვეიცარიის ტერიტორიაზე პერნის ახლოს.

ცეაქლინის განადგურება.

პარიზი. 28 ივლ. დიუნკერკიდან იტყობინებიან, რომ ჰოკაევირეთაჰევიანადგურეს უზარმაზარი ცეპელინი. პირველათ ცეპელინზე იერიში მიიტანა ინგლისის ავიატორმა, რომელმაც დირიჟაბლა დიდათ დააზანა, ხოლო უკანასკნელათ ცეპელინი საფრანგეთის ავიატორმა განადგურა.

პეტროგრადი. 28 ივლისი, ოფიციალური. ფინანსთა მინისტრისა-

ბიდან, მტრის გემი გამოჩნდა დასავლეთით დერბონსკის სრუტესთან და, რომელიც ერთად ერთი გზაა ურეში შესასვლელათ, დიდი გემები ათვის, მტერმა სამი იერიში მიიტანა რომ გაერღვია ნაღმების მავთულები. მტრის იერიში მოგერებულია, მათ ვერ შესძლეს მავთულებში გასვლა. ამ ცდის დროს მტერმა დაჰკარგა სამი იალქნიანი გემი, რომლებიც ააფეთქეს ჩვენმა ნაღმებმა, დირბენდის მიდამოში.

პეტროგრადი. 27 ივლი. მინისტრთა საბჭომ კნაქნა ტატიანა ნიკოლოზის ასულის სახელის კომიტეტისათვის 300,000 მანეთი გადასდვა, გამოქვეულთა სასარგებლოთ.

მინისტრთა საბჭომ ნება დართო ებრაელთა კომიტეტს დახმარება გაუწიოს ომისაგან დაზარალებულთ, რომლისათვის მათ უფლება ეძლევათ შეაგროვონ შემოწირულობა რუსეთში მცხოვრებ ებრაელებისათ მელიდიკეერ თათბირზე აღიარეს მკურნავი თვისება პერნოვის და ორებურგ ლიფლიანდიის ადგილებისა. ვაკანსიის უქონლობისა გამო სამხედრო უწყებას უარი განაცხადა სამრევლო სკოლების იმ მასწავლებელთა მიღების პრაპორშიკების სკოლაში, რომელთაც გათავებული აქვთ ორკლასიანი სკოლა და უფლება არ აქვთ უეგზამწნოთ პირველი კლასის ჩინის მიღებისა.

ქიმიკო-ფარმაცევტიული ნაწარმოების გასაფართოებლათ მელიკთა საბჭომ გადასწყვიტა, ნებადართოს ფაბრიკებს, ლაბორატორიებს, და კერძო ქიმიურ ქარხნებს დაამუშაონ ყველა მარტივი და რთული ფარმაცევტიული პრეპარატები.

პეტროგრადი. 27 ივლისი. ჩვენს სახ დვაო წრეში შემდეგ განმარტებას იძლევიან შესახებ გერმანელთა იერიშისა:

27 ივლისს მტრის გემს მიზნათა ჰქონდა დაეჭირა რიგას ყურე, რადგან ეს დიდ დახმარებას გაუწევს მის ლაშქარს.

უზალდესი მთავარ სარდლის ცნობების აზრის გამოუცნებლობით შობილი მელანქოლია... ვაჟა შემდეგ საგულისხმეო სიტყვებში გადმოგვცემს თავის სულიერ ტანჯვას:

„წარსულზე ფიქრი მაწუხებს, აწმყოში არა ჰყრია-რა და მომავლის ფიქრებიც არაფერ გამიზიარა“-ო.

ამგვარ შავი ფიქრებით მოცული მგოსანი „უბედო ბედმა გარიყა, მიაკრა სალია კლდისასა“, იგიც „ბრტყალში უპყრია სევდასა, როგორც არწივისა გნოლია“; ამ გვართა დატანჯული მგოსანი გოდებს, მოსთქვამს და ჩივის... მაგრამ მისი მონაპრალეში ობლათ წითელი მოზუზუნე ქარიშხლის გამოძახილს; მისი ფანდურის კაენზიანი ხმები წაავავს მღერვარე ზღვის შმაგ ტალღების ბობოქრობას; და არა უწნო დიაცის სანტიმენტალურ ტირილს...

სამ. ნარდიონი.

(დასასრული სვად.)

ბიდან, მტრის გემი გამოჩნდა დასავლეთით დერბონსკის სრუტესთან და, რომელიც ერთად ერთი გზაა ურეში შესასვლელათ, დიდი გემები ათვის, მტერმა სამი იერიში მიიტანა რომ გაერღვია ნაღმების მავთულები. მტრის იერიში მოგერებულია, მათ ვერ შესძლეს მავთულებში გასვლა. ამ ცდის დროს მტერმა დაჰკარგა სამი იალქნიანი გემი, რომლებიც ააფეთქეს ჩვენმა ნაღმებმა, დირბენდის მიდამოში.

პეტროგრადი. 28 ივლისი. ოფიციალური. დნესტრზე ოსტრაპასთან მდინარე მიდამოში 28 ივლისს ავსტრიელებმა იერიში მიიტანეს. ბრძოლა გრძელდება. დანარჩენ ადგილებში ცვლილება არ მომხდარა.

უხრალ გახითიბილან.

კიევი. ამ უკანასკნელ დროს კიევი საესეა გამოქვეულებით. დადგენილია, რომ ვისაც მუშაობა არ შეუძლია, გაიგზავნონ შიდა გუბერნიებში. აღმინისტრაციამ გადასწყვიტა მიმართოს საერთო რუსეთის ერობას, რომ მონაწილეობა მიიღოს გამოქვეულთა ცხოვრების მოწყობაში და თხოულობს შეძლებისათვის შეაჩერონ გამოქვეულთა გზაგანა კიევიში, სანიტარული მოსახრების გამო.

თბილისი. „ოარიზონ“ს აუწყებენ, რომ ერევნის გუბერნიის საზღვრებში შემოვიდა 50 ათასი გამოქვეულთა სომეხი. მომეტებულათ ქალები და ბავშვებია.

კოპენჰაგენი. ავსტრიის მთავრობა ბოჰემიაში მოხელეების შეცვლას შეუდგა: ჩებების მაგივრათ ინიშნებიან გერმანელები. პრაჟის პოლიციის პრეზიდენტის თანაშემწეთ და ნიშნულია კუნცი. დაითხოვეს კანცელარის დირექტორი ტუნა-ბრაუნნი.

ოსმალეთში გამოაქვეყნეს განცხადება, შეისყიდონ ყველა რკინის გზა, რომელიც კი ფრანგებს ეკუთნის.

კოპენჰაგენი. საბერძნეთის გაზეთები ერთხმით აღიარებენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ რომ ბულგარეთი სერბიის წინააღმდეგ გაილაშქრებს, საბერძნეთი დაამტკიცებს, რომ ბერძენ-სერბიელთა კავშირი მკვდარი ამბანი კი არაა, არამედ საბერძნეთის ეროვნული საქმეა.

ვახმისტრი ეთოპი უზალდეს მთავარ სარდალთან.

5 ივლისს სამხედრო ეკლესიიდან გამოსვლის დროს მისმა უზალდესობამ, მთავარ სარდალმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ მიიღო ვახმისტრი ეთოვი და შემდეგი შინაარსის მახსენება მოისმინა.

თქვენო იმპერატორობითი უმაღლესობავ. პატივი მაქვს გამოცხადდე თქვენს წინაშე ბლაკანოვის სტანიციის ვახმისტრი ეთოვი დანიშნული თქვენი უმაღლესობის განკარგულების ქვეშ.

მისი იმპერატორობითი უმაღლესობა მიესალმა ვახმისტრს ეთოვს, რომელმაც მოსთხოვა სიტყვის ნება. მან სთქვა: დონის ყაზახების მონდობილობით მე, როგორც სტანიციის ოტომანი, გადმოგცემთ თქვენს უმაღლესობას გულწრფელს, უმდაბლესს სალამს და ამასთან გაცნობებთ რომ დონის ყველა ყაზახი მზათ არის დასდოს თავი ბრძოლის ველზე მეფისა და სამშობლოსათვის. ყველანი ლოცულობენ მისი უდიდებულესობის გამარჯვებას შეუპოვარ მტერთან.

სომა მიესალმა ვახმისტრს ეთოვს, რომელმაც მოსთხოვა სიტყვის ნება. მან სთქვა: დონის ყაზახების მონდობილობით მე, როგორც სტანიციის ოტომანი, გადმოგცემთ თქვენს უმაღლესობას გულწრფელს, უმდაბლესს სალამს და ამასთან გაცნობებთ რომ დონის ყველა ყაზახი მზათ არის დასდოს თავი ბრძოლის ველზე მეფისა და სამშობლოსათვის. ყველანი ლოცულობენ მისი უდიდებულესობის გამარჯვებას შეუპოვარ მტერთან.

ამ სიტყვის შემდეგ დიდმა მთავარმა სთქვა: „შენ იყავი ჩემთან ოსმალეთის კომპანიაში, როგორ დავბერდიო მე და შენ!“

აქ მანმა უმაღლესობამ გადაკოცნა ვახმისტრი ეთოვი და გადასცა მას თავისი სტესკვერი.“ ნ. ს.

საჰაერო სამხედრო ფლოტი.

ყველა დიდი სახელმწიფო მთავრობები ომის წინადაც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ავიაციის საქმეს: უმაღლესი წარმომადგენლები სახელმწიფოებისა ერთმანეთს ეგვიბრებოდენ სამხედრო ავიატორების მფარველობაში და ჰაერობლანების სავარჯიშო მოედნებს, იპოდრომებს საკუთარი ხარჯით აწყობდენ.

კარგათ გრძნობდენ, რომ საჰაერო ფლოტი დიდ როლს შეასრულებდა მომავალ ომში; ამიტომაც ისინი ძალღონეს არ ზოგავდენ, რომ ეს საქმე, რაც შეიძლება, მალე გავეითარებიათ; თითოეული მათგანი ცდილობდა მეტი ავიატორი ჰყოლოდა და ჰაერობლანის ტენიკა გაეუმჯობესებია. მაგრამ, როგორც სხვა ყოველგვარ საქმეში, მიზანს მხოლოდ ის აღწევს უკეთესათ, ვისაც ძალა შესწევს ქაღილისა“.

ძალა კი შესწევდა გერმანიას და იგი მართლაც მოეშადა, როგორც სხვა ყოველგვარი იარაღით, ისე საჰაერო ფლოტითაც. მისი ჰაერობლანის ტენიკა უმაღლესს წერტილამდია მიღწეული, მისი ეგრეთ-წოდებული „ტაუბე“ და „ცეპელინი“ სხვა ქვეყნებისთვის ახლაც მიუწოდომელია, გაჩაღდა ომი და მთავრობებს მოლოდინი გაუშართლდათ. საჰაერო სამხედრო ფლოტი დიდი სამსახურის შესრულებას შეუდგა.

კარგათ მომზადებულმა გერმანიამ თავისი „ცეპელინებით“ ერთ ხანს მთელი ინგლისი თავზარ დამცემ შიშქვეშ ამყოფა; ახლა კიდევ ახალი სისტემის ჰაერობლანი გაამზადა, რომლითაც მტრებს ემუქრება და, ვინც იცის, ჰაერში ბრძოლა რა ფორმებს მიიღებს მომავალში და რას გვიქაღის!

დღეს კი, როგორც ბრძოლის ველზე მყოფი კორესპონდენტები აგვიწერენ, საჰაერო სამხედრო ფლოტი სამ ფუნქციას ასრულებს: 1) რეკოგნოსტიროვკას, ე. ი. მტრის ბანაკს ათვალიერებს და ზომავს; 2) ხშირათ ჰაერში ომი აჩაღებს; მოწინააღმდეგის ჰაერობლანებს ებრძვის; 3) აგრეთვე მონაწილეობას იღებს ომში

ბრძოლის ველზე: მტრის ბანაკის ზოლის უკან მიდიან და აქეულობენ. აქეულობენ ქალაქებს, რომ ამით მცხოვრებნი შეაშფოთონ და მტრის უკან დაწევის საშუალება მოუსპონ.

ამ სამგვარ დანიშნულებისათვის სამგვარი ჰაერობლანი და მზადებული და მხედარი მფრინავიც სამგვარათ არის გაწრთენილი. საფრანგეთში მაგალითად მტრის სიმავრეების დასათვალიერებლათ გზავნიან ავიატორებს წყნარათ მფრინავ და მსუბუქათ შეიარაღებულ ბიპლანით. ასეთ ბიპლანებისგან აწყობენ მთელ ესკადრილიას, რომლის მოვალეობაა ყოველდღე ათვალიეროს, დაზვეროს და თვალყური ადევნოს მტრის მოწინავე რაზმებს, აგრეთვე მტრის ბანაკს იქეთ რკინის გზის მატარებლებს და ჯარის მოძრაობას; უნდა მიატკროს აგრეთვე ყურადღება, სადმე მტერი ახალ სიმაგრეს ააგებს. ამას გარდა იგივე ესკადრილია უჩვენებს არტილერიას, თუ მიზანი საით უნდა დაიკავოს და ეს მით უფრო საქიროა, რაც მტრის ბანაკი და სამიზნო საგანი სადმე მიფარულ ალაგს არის. ესკადრილია ატყობინებს ხოლმე არტილერიას, თუ რამდენათ სისწორით ისერის იგი და რამდენათ ზიანდება ნასროლ ყუმბარებისგან მტრის რომელიმე სიმაგვრე.

ეს ყველა კარგი, მაგრამ, როგორ ახერხებენ ისინი ამის შესრულებას? იტყვის მკითხველი. აი როგორ: ყოველ ჰაერობლანს აქვს განსაკუთრებული საფლოტოგრაფო აპარატი, რომლითაც ის საოცარი სისწრაფით იღებს მალდიდან ყოველგვარ საგნების სურათებს. ამ გვარ პორტრეტების მთელი წყება ბრძოლის ველისა ნათელ სურათს უხატავს ყოველი მნახველისა და მით უფრო გამოცდილი სარდლის თვალს.

ასე რომ, სურათების მეოხებით იერიშების წინ ჯარმა უკვე იცის, თუ რა ძალასთან ექნება საქმე და სად რა სიმაგრე დახვდება მას.

მზვერავ საჰაერო ესკადრილიას გაჩაღდა არის კიდევ ჰაერობლანების მეორე რაზმი, რომლის დანიშნულებაა დაიცვას მზვერავები მტრის თავდასხმელ ჰაერობლანებისაგან და როცა საქიროება მოითხოვს, თვითონვე თავს დაესხას მტრის მზვერავ ესკადრილიას.

ასეთი თავდასხმელი, მეომარი ჰაერობლანი სულ სხვა სისტემისაა: იგი უფრო სწრაფლ-მფრინავია და საუკეთესო იარაღებით არის შეჭურვილი.

დღე-ლი.

(შემდეგი იქნება).

ჩიბბოროზო სისუ-ლეღისა.

თუ მკითხველმა არ დაივიწყა უკვე წარსულ ორშაბათს ქუთაისში გამოვიდა გაზეთი, რომელსაც ჩვენ ყვითელი ვუწოდეთ, მაგრამ ყვითელ ფერთან გაზეთმა სხვა ფერიც გვიჩვენა, კეთილშობილი ფერი და გვა-

გრძობინა, ხუმრობა საქმე არ გეგონოსთ, მიმართულება ჩვენცა გვაქვს და გვაქვს პატივი, თავი გავაძნოთ. დროცა ამ მიმართულებისა ბ. ვასილ წერეთელმა დაიჭირა ხელში. უპირველესად ყოვლისა საქაროა ესტევათ, რომ ბ. ვასილ წერეთლის სახით ჩვენ საქმე გვაქვს ქართველ კუთვან, რომელმაც საქართველოს ტერიტორიის სამხრეთის პოლიუსი აღმოაჩინა. ე პოლიუსი გახლავთ ერუშეთის საბოქაულო. თუ ქართველი კუქ-სგან დავიწყებულათ არ ჩავსვლით ჯერჯერობით იმ გამოურკვეველ გარემოებას, რომ ერუშეთის საბოქაულოს იქით შეიძლება ერთი სამამასახლისო კადვე რუს, რომელიც აგრეთვე შეიძლება საქართველოს ტერიტორიის საზღვრებში შემოვიდეს, საქართველოს ტერიტორიის მთლიანობისა და გვერთიანების საქითხი გამოკვეთულათ უნდა ჩათვალოს და შთამომავლობა ვალდებულა ბ. ვასილ წერეთელს—ქართველ კუქს, ძველი აუვოს და ძველი აუვოს უსათუოთ ამ ერუშეთის საბოქაულოში.

არაინ აღამიანები, რომლებიც ცხოვრობენ ჩიბოროზოზე სისულელისა—ამბობდა ბერნი. და ერუშეთის საბოქაულოშიც, ამ ჩიბოროზოზე საქართველოს ტერიტორიალურ სისულელის, იცხოვრებს ძველი ვასილ წერეთლისა, წხარული და კიპაფილი სახით, აღსაბეჭდოთ იმისა, თუ რა პოლიუსებამდე შეიძლება მივიდეს აღამიანი დურეტელ ძაებისა და აღმოჩენის სურვილიში.

მე არავითარი სურვილი არა მაქვს, ქართველ კუქსაც ივივე ბედი ეწიოს, რა ბედიც ეწია ამერიკელ კუქს. შეიძლება თამამად დავამტკიცოთ ის დებულება, რომ არავითარი ისეთი ერუშეთის საბოქაულო არ არსებობს, რომელიც საქართველოს ტერიტორიაში უნდა შედიოდეს და არსებობს მხოლოდ სოფელი მოხისი, რომელიც უკვე საქართველოს ტერიტორიაზე დგეს და სადაც თავისუფლად შეუძლია ვასილ წერეთელს წავიდეს, თავის ტერიტორიალურ ძიების განსაგრძობად.

იქ ცხოვრობს ხალხი, მეტათ გონება მახელი და მოსწრებული, რომელიც დიდი ეშხით გაიზარებდა იმ პროგრამა-მინიმუმ, რომელსაც ანვითარებს ბ. ვასილ წერეთელი. ვიმეორებ, მე შემედლო ყველა ამის თქმა, თუ არსებითად დავიწყებდი კამათს. მაგრამ ბ. წერეთელთან ამაზე კამათი ივივე იქნებოდა, რაც საუბარი ილია ქაველაძის იმ რუს ოფიცერთან, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე, თუცა არა ტერიტორიალურ, მაგრამ მაინც სხვადასხვა აღმოჩენას ეწვია. ამის სურვილი კი მე არა მაქვს. კპარა ისიც, რომ არაინ აღამიანები, რომლებიც ცხოვრობენ ჩიბოროზოზე სისულელისა! **შ. ამირეჯიბი.**

სოფლიდან.

ამ ბოლო დროს ისედაც დაზარალებულ სოფელში უარესი მზარა-

ლებელი აღმოჩნდნენ, რომელნიც სრულიად უთავებენ ხელს უპატრონოთ დარჩენილ ოჯახებს.

ეს ცრუ-უკითხავები გახლავთ, რომელთაც ასე გულდასმით უჯერებენ ყოველი კრუეს სოფლები და უკანასკნელ გროშებს აღარ ზოჯვენ. ბ. ბაღდადისა და გორის საზოგადოებასაც, წვია ვლაც ახალგაზდა გურული ქალი, რომელსაც გურუ (კვლეობა ხმა: ვითომ და ოთხი დღე მოკვდ, შემდეგ თვით დაკრძალვის დღეს გამოცოცხლდა და მას აქით მკითხაობს. ეს ქალი გორის საზოგადოებაში დაიჭირეს და ბ. ბაღდადის ბოქაულს მიგვარეს. უკანასკნელმა, მის ნაცვლათ, რომ ხალხი დაფარა ამ უმბარი მყვლფელისკან, ნებართვის ქაღალდიც კი მისცა თუთხმეტ მარიობის თვემდი, რომ მოხსენებულ უბანში ის ხელუზღებელი იქნება ა ვადამდი, რადგანაც მკითხავს დაუჯერებია ბოქაული, რომ 15 მარიობისთვის გერმანიის იმპერატორი ვილგელმი უთუოთ მიიკვლება და ომაც მაშინ გათავდებო. თუ ეს ასე არ მოხდეს, ი დღეს თუ გნებავთ კადვე დამახჩკეთო.

დღეს ეს ქალი მის ნებავზე დათარეშობს სოფელ-სოფელ და შეუბრალებლათ უკანასკნელ კაპიკს აცლის მშიერ ოჯახს. ხსენებულ ვადამდი თუ ეს, ხელ-შეუზღებელი იქნა—თავისას იზამს და გაიპარება, ბოქაული კი დარჩება ყურებზე—ხახვ გადაქრილი. საქაროა, ყურადღება მიექცეს ამ გარემოებას, ვისგანაც ჯერ არს. ნეტა რად ესაქაროება მთავრობას და ხალხს დღეს ასეთი ცრუ-მატყუარები. დროა სიბრეღე გააჩიონ სინათლისაგან.

გედი—როხელი.

დაბა-სოფელი.

ბ. საწირე აქთ წელს ყველას აკლია სიმინდი. მიუხედავად მთავრობის განკარგულებისა, რომ სიმინდი არ უნდა გაყიდულიყო ერთ მანათ და სამ კაპიკს ზევით ფუთი, ტყუილის ვაქრები ჰყლიან რვა აბაზამდე ფუთს და საწყალ ხალხს ტყავი ძვრება. ამვე საზოგადოებაში სადგურ ხრესილზე ვლადკავაციდან მოტანილ სიმინდს კი ბ. ჟარქალაძეები ერთ მანეთად და ორ შურათ ყიდიან ფუთს და სიმინდიც კარგი ღირების არის, მაგრამ მთელი საზოგადოებას არ სწვდება და რძულეული არიან სხვაგან ძვირათ იყიდონ. ჯერჯერობით წელს ამ საზოგადოებაში გასლდა ათი ვაკონი შემოტანილი სიმინდი და ამდენი კიდევ არ იკმარებს შემოდგომამდი.—მაგრამ შემოდგევი კი მოგვცემს რასმე არაფერ კარნახულს წელს აქით მოსავლის პარი არ უჩანს. ხილი, რომელიც აქით ნაქები იყო და გვარან სახარსაც იძლეოდა, წელს პირის გასასოფლებელიც არ მოსულა.

სიმინდი ჩუვითლებულა და ერთი არშინი ძლივს არის, რომ თავი უყრია. ვენახები ხომ სახსენებელიც არ არის. ამდენ უბედურებასთან, შარშანდელი სიმინდის სესხაც მოსთხოვა მთავრობამ 6000 მანეთი, და ნაბრძანებია, სულ მოკლე დროში მოიკრიფოს. ამას დაუმატეთ ძველის ძველი „ნედლომები“ სხვადასხვა გ-

დასახადისა, რომელიც სულ მოკლე ხანში, სამი—ოთხი დღის განმავლობაში შეკრფილ იქნა თვით ბოქაულის მიერ თორმეტი ათა მანეთამდე. ამას მიუმატეთ კადვე ახალი წლიური გადასახადებიც და აღვივრებას.

ახლა მოაწია სწავლის დწყების დრომაც. მეღ სხვაგადოებას, რიცხვთ ათას კომოს, ერთი ორკომპლექტური სამინისტრო სკოლის მეტი არა გააჩნია, რომელიც მეათედ ნაწალს სწავლის მურველისას ვერ იტევს. მიუხედავად დიდი ხვეწნა მუდარისა, მესამე მასწავლებელი არ მისცა მთავრობამ ხაზინის ხარჯით, თვითონ კი სადა აქვთ მისი შენახვის თავი. ასეთს უზომო განსაცდელში დღეს ეს ბეჩავი კუთხე ვინაა მაშვილი?

ვინმე.

განმარტება.

(საზოგადოების საყურადღებოთ).

ზატევემულ გავით „სამშობლოს“ № 139 ში თავ. რასტომ ჩიქოვანის წერილია რედაქციის მიმართ მოთავსებული, სადაც იგი ეხება ბანძის სასამართლოს ბოქაულის ბ კანდაკაის მოქმედებას. საზოგადოთ ძვირათ შევხედოვარ გავითის ი ურდლებზე სასამართლოს ბოქაულების შესახებ რამეს და ამ უკანასკნელ დროს კი ორიადე წერილს წავაწედი მათს, თითქმის უკანონო მოქმედებაზე.

რომ თავ. ჩიქოვანის ცნობის მოყვრება დავაკეთოთ და ბ. ბოქაული კანდაკაციც ვაშორე უსამართლო სუვედურს, განვმარტავ შემდეგ: მამულის ჩაბარების წესი უწინ სხვა იყო და ახლაც კი სრულბოთ სხვაა. უწინ, როგორც თავ. ჩიქოვანი ბრძანებს, კანონის ძალით აბარებდენ ჩასაბარებელ მამულის მოსაზღვრეთ, მაგრამ უწევებს მანც არ აბარებდენ, რადგან ამას კანონი არ თხოულობდა და ზედმეტ ხარჯსაც გამოაწედა; არც მამულის ბატონის (გომიდეველის) აბარება იყო სჯობი, თუ კი მიმოიხვეთ არ ითვლებოდა. მამულის ჩაბარების დროს დამსწრეს შეეძლო გავცნადების დავა და ამ განცხადებას სასამართლოს ბოქაული შეიტანდა ეტრეთ წოდებულ „ჩაბარებით ფურცელში“, მაგრამ ბოქაული ამ განცხადებას არ უდგენდა სასამართლოს განსახადებლად და არც მამულის ჩაბარებას აჩერებდა. ახლაც კი ეს წესი, ან უკეთეს ვსთქვათ, კანონი მამულის ჩაბარების შესახებ სრულბოთ შეიცვალა.

რომ უადგალო გავითებში წერას და უსათუფლო სანოვრებს აშორდეს საზოგადოებას, ამიტომ გავაცნობ საზოგადოებას ახლ კანონს მამულის ჩაბარების შესახებ. ეს ახალი, 15 იანვარს 1912 წლის კანონი, ამბობს: 1) დავა შეფლობელისა, რომლისგანაც დამტკიცების საბუთით გადავიდა მეორე პირზე, აგრეთვე დავა მესამე პირთა იმ მამულის გადაცემის შესახებ, რომელაც შექმნილია სჯარო ვ ჭრბობით; არ აჩერებს მამულის ჩაბარებას, და როგორც უწინდელ ზატონის, ისე მესამე პირთაც, შეუძლიათ დამტკიცონ თავისი უფლებანი მსოფლო ცალკე სანოვრის დაწეებით სასამართლოს წინაშე, სხვა დანარჩენ შემ-

თხვევაში კი, როგორც მაგალითად, ნაეადობით, სამედიტატო ან ოფიციალურ სასამართლოს მისჯით, მესამე პირის განცხადებით, რომლის შედეგებულბამაც იმყოფება ჩასაბარებელი მამული, სასამართლოს ბოქაული აჩერებს მამულის ჩაბარებას, დავა შეაქვს თქმში და თქმის პირს უგზავნის მოსამართლეს. მოსამართლე ნიშნავს სხდომას, აბარებს მხარეებს და მოწვეებს და ჩვეულებისამებ აჩერებს საქმეს. მოსამართლე ან უარს ეუბნება დავის განმცხადებელს, ან და ჩაბარებას შეაჩარებს საქმის სრულ დაბოლოებაში.

რაც შეეხება მოწვეების, თუ მოსაზღვრების დაბარება მოწვევას, იგივე კანონი აი რას ამბობს: მამულის ჩაბარება სდება შეიდეველის და იმ პირის თანდასწრებით, ვისგანაც მამული გადადის, თუ რომ ეს უკანასკნელი მოწვევისამებ გამოცხადდა; თუ არ გამოცხადდა, ან თუ მამული არ არის ძალით გადასცემი (ჩამოსართმევი), მაშინ შეიდეველის და ორი ადგილობრივი მცხოვრების თანდასწრებით: არც ადგილის შესახებ მამულის ჩაბარების დროს არაინ მართალი თ დ ჩიქოვანი. შეფლობლობაში შეეყვანა ნიშნავს მხოლოდ ფორმალურ სიტუაციურ გამოცხადებას სასამართლოს ბოქაულის მიერ სასამართლოს გადაწვეტილების მამულის ერთი პირისგან მეორე პირზე გადასვლის შესახებ; ამიტომ კანონში არ არის ნახეუები, თუ სად უნდა შესრულდეს მამულის შეფლობლობაში შეყვანა: სახლში, თუ მიადრში,—იმ ადგილას, თუ რომლის შეფლობლობაშიც უნდა შევიდეს ეს თუ ის პირი, თუ მეზობელ ადგილას. ამის და მიხედვით სასამართლოს ბოქაული მცდეულ წესისამებ მამულის შეფლობლობაში შეყვანას ასრულებენ უფრო მოხერხებულ, მისამხრობ ადგილას და უფრო სშირად სოფლის სასამართლოებში. შეფლობლობაში შეეყვანა ბოქაულმა უნდა მოასდინოს უმშველად იმ სოფელში, ან საზოგადოებაში, სადაც მამული სძევს და არა უმშველად იმ მამულზე, რომელიც ბარდება, რადგან ეს უკანასკნელი ფიზიკურად სშირად შეუძლებელია. ვსთქვათ, მაგალითად რომ მამული ჩასაბარებელია ერთ სოფელში ოცი ან მეტი ცალ ცალკე ნაჭერი, ერთმანეთზე დამორებული თუ ბოქაულმა უნდა მოაჩროს უველს ნაკვეთი ცალ ცალკე და გაზომოს! ან და მამული ძვეს სადმე მიუფად მთაში. ვი მეორებ, ეს მოხერხებელია და არც კანონი თხოულობს ამას. შეიძლება აგრეთვე ბოქაულმა მამულის ჩაბარება მოასდინოს თავისავე კანცეპარაში, თუ რომ მამული იმ სოფელში, ან იმ ადგილას მდებარეობს, სადაც ბოქაულს აქვს თავისი კანცეპარია.

გურულ-მეგრელი.

ანგარიში.

ქუთაისის ქართული დრამატული საზოგადოების სასარგებლოთ გამართული სეირნობის 5 ივლისის ქადაქის ბაღში. **შემაჯიდა:** 1 ბილეთების გაყიდვისგან—201 მ. 40 კ., 2 ყუავილების გაყიდვისგან—61 მან. 32 კ., 3 სხვა და სხვა გასართობებიდან—26 მან. 11 კან. 4 წარმოდგენის შემოსავალი—6 მან. 80 კ., 5 ჩაის ხუფრიდან—61 მან. 29 კან. 6. ხიდეულის წყლის

გაყიდვისგან—5 მან. 16 კ., 7. წყლის გაყიდვისგან—11 მან. 8. შესასრული ბილეთებისზე ზედმეტი გასაღდადი—26 მან. 46 კ., 9. შემოწირულობა სხვადასხვა პირთაგან—42 მან.

სულ შემოსავალი—492 მან 54 კან. **განსაზალი:**—1 ბაღის განათება—35 მან 2. მუსიკა—35 მან. 3. ჩილენგანიშვილის სფაგროს ტეპილეულობისათვის—27 მან. 4. მარგები შესასრული ბილეთებისათვის—20 მან. 32 კან. 5. სანოვრე დახილი—23 მან 85 კან. 6. შემსუნს, სასოფრენი ბურთი და სხ. გასართობი—11 მ. 50 კ., 7. აფიშები, მთრინავი ფურცლები, „ზღაპრები“ და მათი გაგვრადარიგება—19 მან. 87 კან. 8. კოსტის ქირა და წყლის ფასი—49 მან. 78 კან. 9. ჭურჭლეულობის ქირა—7 მან. 60 კ., 10. ზურჩა—5 მან. 11. თვალმძაქვს—8 მან. 12. მოწვიდავთ—10 მან. 13. ხელზე მოსამსხურეთ—7 მან. 14. ხე-ტყე—2 მან. 60 კ., 15. მუშას სამუშაო და მთელი დღე დამით დარჯობისათვის—6 მან. 16. ნებართვის აღება—2 მან. 17. ჩვეები ბილეთებისათვის—1 მ., 40 კ., 18. ჩიოთ რეკვიზიტისათვის—2 მ., 70 კ., 19. დეპეშები მისხიობით—2 მ., 58 კ., 20. სხვა და სხვა წერილი სარჯები—4 მ., 50 კ., გასავალი სულ—281 მან 14 შური, ამგავათ წმინდა დარჩა—210 მანეთი და 84 კანეკი.

გამეკობა უდრმეს მადლობას სწირავს იმ პირთ, რომელთაც თავისი წვლილი არ დააშურეს საზოგადოების საშუალებათა გასაძლიერებლათ და შემოსწირეს.—ფუქათ:—1 გ. ფ. ზღანთიანმა—7 მან. 2. ი. გ. ანჯაფარიძემ—10 მან. 3. ი. გ. (კიტა) აბაშიძემ—5 მან. 4. ნ-მ. შელქისედექ ფადავამ—5 მან. 5. უკანათ. თაყადაშ. ა. ბაგრატიონმა—5 მან. 6. ნ. ი. გ. გოკიელმა—5 მან 7. რ. გ. დათეშიძემ—5 მან

სულ—42 მანეთი. სხვა და სხვა შემოწირულობა:—1 ბნი მელაშვილისგან—5 გორვანქა შაქარი, 1/4 გორ. ჩაი და 1 გორ ნამცხვარი, 2. კუხანავისგან—2 1/2 გორ. ნამცხვარი, 1 გორვანქა კანფეტი 3 დ. ქებაძისგან—5 გორ. შაქარი, 1/4 გორ. ჩაი, 10 კოლოფი წუშუშუა 4. კუხარაშვილისგან—5 გორ. შაქარი, 5 ცალი სულგუნი, 5. ფეიქაროვისგან—სეკრეტები და კარნაშები 6. მირაქოვისგან... სეკრეტები და კარნაშები 7. კილასონისაგან—5 გორ. შაქარი და 1/4 გორ ჩაი.

დასასრულ გამეკობა უდრმეს მადლობას სწირავს უველას, ვინც ნივთიერთ, თუ სხვა. რაიმე დახმარებით, ხელი შეუწყო სეირნობის გამართვას.

ზატევისცემით ქუთ ქართ. დრამ. საზ. გამგეობა.

წერილი რედაქციის მიმართ. **ბაბონო კვლამბორო!**

უმორჩილესად გთხოვთ თქვენი პატივცემულ, გაზეთის საშუალებით უდრმესი მადლობა გამოვუცხადოთ ბ. ვასილ ნუპაიუშს, რომელმაც შემოსწირა ქვიტორის უფასო წიგნსაცხე სამკითხველოს თავისი ხელით დახატული შოთა რუსთველის, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და არჩილ ჯორჯაძის სურათები. იმედი გვაქვს შემდგომაც არ მოგვაკლებს თავის დიდებულ ხელოვნები ნაყოფს.

სამკითხველოს გამგე **დომინია ვადანაშვილი.**

რედ.-გამომც. ი. თ. ცინცაძე